



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1961
10/12/2018

ქალაქი ბათუმი

1961-05-4-201812101418



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჭრით მიღებული სამასალე ან/და სამეშე მერქნის განკარგვის კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №41 დადგენილებით მიღებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი, რომლის მიზანია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება. აღნიშნული წესის მე-17-ე მუხლით განმარტებულია ჭრით მოპოვებული მწვანე ნარგავების განკარგვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ან/და მერის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიას უფლება აქვს ჭრით მიღებული მერქნული რესურსი, როგორც სამასალე, ასევე სამეშე მერქნად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადასცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს ან ფიზიკურ პირებს, მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ბუნებრივი რესურსებისა და აგრორულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის რეზო ვარშანიძის 2018 წლის 5 დეკემბრის №3496-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას კომისია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჭრით მიღებული სამასალე ან/და საშეშე მერქნის განკარგვის მიზნით, შემდეგი შემადგენლობით:

ა) რეზო ვარშანიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მერაბ მიქელაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თეიმურაზ გაწერელია - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) რამაზ ვერძაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოფლის მეურნეობის განყოფილების II კატეგორიის, III რანგის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

2. კომისიის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამაზ ხაბაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) იოსებ აბულაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;

გ) მამუკა გათენაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობის, ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების II კატეგორიის, III რანგის უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;

დ) მერაბ ბახტაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების II კატეგორიის, III რანგის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში - ჯგუფის წევრი.

3. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საშეშე ან/და სამასალე ხე-ტყის განაწილება და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჭრით მიღებული სამასალე ან/და საშეშე მერქნის განკარგვის კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 მარტის №01-08/201 ბრძანება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ვარდმანიძე ჯუმბერ



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, positioned to the right of the printed text.